## სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№ 29 § 2 1 მარტი 2021 წელი

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ ფაკულტეტზე მილევად რეჟიმში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რიგგარეშე შიდა საუნივერსიტეტო მობილობის პროცედურების წარმართვის შესახებ**

2020-2021 სასწავლო წლის დამატებით შიდა საუნივერსიტეტო მობილობის პროცედურების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. შიდა საუნივერსიტეტო მობილობა და სტატუს შეწყვეტილ სტუდენტთა აღდგენის პროცედურები განხორციელდეს უმაღლესი განათლების საფეხურის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესახებ" მიხედვით და ამ მიზნით გამოყოფილი იქნას ვაკანტური ადგილები.

2. შიდა მობილობის წესით ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის უფლება მიეცეს სტუდენტებს სწავლების მეორე სემესტრიდან.

3. ვაკანტური ადგილების დაკავება მოხდეს კონკურსის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით, იმ პირობის დაცვით, რომ კონკურსანტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ჩაბარებული არჩევითი დისციპლინა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ ერთ-ერთ არჩევით დისციპლინას, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტებს მობილობის

უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებზე, რომელიც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. შიდა მობილობისათვის განცხადებების მიღება წარიმართოს 2021 წლის 1 მარტიდან 4 მარტამდე.
მობილობის მსურველმა დადგენილი ფორმის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდითა და ხელმოწერით;
ბ) ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;
გ) ცნობა ფინანსური სამსახურიდან საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ფინანსური ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
დ) პირადობის მოწმობის ასლი.

5. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება საფაკულტეტო კომისიამ უზრუნველყონ 2021 წლის 4 მარტის ჩათვლით.

6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. კორძაძე) უზრუნველყოს შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების მომზადება 2021 წლის 5 მარტის ჩათვლით.

7. კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორი პროფესორი როლანდი კოპალიანი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ასოც. პროფესორი თეა კორძაძე

მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის უფროსი ასოც. პროფესორი მათე ხვედელიძე